გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

მარშალ გელოვანის გამზ.N34
0159 თბილისი, საქართველო
+995 32 237 80 13
+995 32 237 80 44
info@mepa.gov.ge

29 სექტემბერი 2023

N 7881/01

ელენე ნოდიას

foi+request-2873-e7052f98@askgov.ge

ქალბატონო ელენე,

მიმდინარე წლის 25 სექტემბერს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შემოსული თქვენი #35035 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ მოკლებული ვართ შესაძლებლობას მოგაწოდოთ სათბურის გაზების ემისიების სტატისტიკა 2017 წლიდან დღემდე, რადგან სათბურის აირების ემისიების ბოლო ინვენტარიზაცია ჩატარდა 2020 წელს და ფარავს ემისიების შესახებ მონაცემებს 2017 წლამდე. აღნიშნული ინვენტარიზაციის მონაცემები მოცემულია 2021 წელს შემუშავებულ საქართველოს მე-4 ეროვნულ შეტყობინებაში.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ 2022 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაიწყო პირველი ორწლიური გამჭვირვალობის ანგარიშისა და მე-5 ეროვნული შეტყობინების მომზადება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სათბურის გაზების ემისიების ინვენტარიზაციის განახლება, რომელიც დაფარავს მონაცემებს 2022 წლის ჩათვლით - აღნიშნული დოკუმენტების დასრულება იგეგმება 2024 წლის ბოლოს.

პატივისცემით,

ნანა ჩინჩილაკაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტი